დოქტურანტურის დებულების დანართი N 6
დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2025 წლის 20 იანვრის N 02/25 ოქმით

ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის წესი, ძირითადი ეტაპები და მოთხოვნები

დოქტორანტის კვლევით კომპონენტზე მუშაობის ხელშეწყობის მიზნით ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა (სკოლის პროფესორის/ასოცირებული პროფესორის მიერ სკოლის საბჭოს წინაშე დოქტორანტურის საკვლევი თემატიკის წარდგენისა და დამტკიცების საფუძველზე) ქმნის დოქტორანტის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სამი წევრის შემადგენლობით: დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი და შესაბამისი ან მომიჯნავე (სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით) მიმართულების ორი პროფესორი/ასოცირებული პროფესორი. სკოლის საბჭოს წარდგინებით სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობას განიხილავს და ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო:

- განიხილავს და ამტკიცებს დოქტორანტის კვლევის კონცეფციას და საკვალიფიკაციო ნაშრომის სახელწოდებას;
- განსაზღვრავს (დოქტორანტის ხელმძღვანელთან შეთანხმებით) დოქტორანტის მუშაობის თანმიმდევრობას და გრაფიკს;
- კონსულტირებას უწევს დოქტორანტს სასწავლო მოდულით გათვალისწინებულ მოდულებთან დაკავშირებით (სასწავლო მოდულით გათვალისწინებული ძირითადი კომპონენტების ლოგიკური თანმიმდევრობა და არჩევით კომპონენტებთან მიმართებით რჩევა) და ისმენს და აფასებს სადოქტორო სემინარებს სპეციალობის მოდულში.
- ახორციელებს სადოქტორო პროგრამით გაწერილი კვლევითი კომპონენტის (სადოქტორო ნაშრომი) მომზადებისა და წარდგენის ეტაპების მონიტორინგს(თითოეული ამ კომპონენტის წარდგენა ხდება სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წინაშე), რითაც უზრუნველყოფს დოქტორანტის კვლევის დაგეგმვასა და განხორციელებას ეფექტურად და შედეგიანად;

- ქმნის შესაძლებლობას დროულად დაკორექტირდეს/ აღმოიფხვრას შესაძლო გადაცდომები ან უზუსტობები კვლევის პროცესში, უზრუნველყოფილი იქნას დოქტორანტის სამეცნიერო მუშაობის სწორი ორიენტირება (წარმოდგენილი ჰიპოთეზის დასამტკიცებლად/უარსაყოფად, მოსალოდნელი შედეგების თვალსაზრისით, კვლევის შერჩეული მეთოდების რელევანტურობისა და შედეგიანობის თვალსაზრისით და სხვა);
- სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო აფასებს წარმოდგენილ კვლევით კომპონენტებს(კრედიტების მინიჭების გარეშე) და სავალდებულო მინიმალური ბარიერის (51% პირობითი 100%-დან) გადალახვის შემთხვევაში უფლებას აძლევს დოქტორანტს გადავიდეს კვლევის შემდეგ ეტაპზე;
- ეხმარება (კონსულტირების ფორმატში) დოქტორანტს კვლევის სფეროსთვის რელევანტური და მეცნიერულად ღირებული სამეცნიერო ჟურნალის/ჟურნალების შერჩევაში კვლევის შედეგების პუბლიკაციის მიზნით;
- განიხილავს დოქტორანტის მიერ საერთაშორისო პუბლიკაციისთვის მომზადებულ სტატიას/სტატიებს (აფასებს "შესაძლებლისა" და „დასაშვების" მარკერთა გათვალისწინებით - ერთი მხრივ, სტატიის ფორმისა და შინაარსის გამართლებულობის, მეორე მხრივ კი, იმ ფორმალურ საზღვრებთან თავსებადობის განსაზღვრა, რომელშიც ადრესანტს შეუძლია საკუთარი შეტყობინების აგება და სტატიის გადაცემა პუბლიკაციისთვის) და აძლევს დოქტორანტს რეკომენდაციას პუბლიკაციისთვის;
- განიხილავს დოქტორანტის მიერ ხელმძღვანელთან ერთად მომზადებულ წინადადებას/პროექტს კვლევითი ან სხვა სახის სამეცნიერო აქტივობის (კონფერენციაში მონაწილეობა, სამეცნიერო მივლინება და სხვა) დაფინანსებასთან დაკავშირებით და შუამდგომლობით მიმართავს სკოლის საბჭოს.

სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო იკრიბება სულ ცოტა სემესტრში ერთხელ, მოწვევის გრაფიკი დამოკიდებულია დოქტორანტის განაცხადზე სპეციალობის მოდულით გათვალისწინებული სადოქტორო სემინარის ან კვლევითი კომპონენტის წარსადგენად მზაობის შესახებ, რომელსაც იგი უგზავნის საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერს.

კვლევითი კომპონენტის განხორციელება ხდება შემდეგი აუცილებელი ეტაპების დაცვით:

- წინასწარი განაცხადის (მოიცავს კვლევის ჰიპოთეზას, საკვლევი საკითხის აქტუალობის, განსახორციელებელი კვლევის თეორიული და პრაქტიკული ღირებულების დასაბუთებას და კვლევის სავარაუდო შედეგებს) წარდგენა სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოსთვის;
- კვლევითი სემინარის წარდგენა (კვლევის თემატიკისთვის რელევანტური უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის, კონცეპტუალური მიდგომებისა და კვლევის განხორციელებისათვის შერჩეული მეთოდების არგუმენტირებული მიმოხილვა) სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოსთვის;
- კოლოქვიუმის (დისერტაციის დამუშავებული ნაწილი დოქტორანტის შეხედულებისამებრ) წარდგენა სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოსთვის, რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტის მიერ განხორციელებული კვლევის სისწორის, სანდოობის და მიღებული შედეგების სიახლისა და მეცნიერული აქტუალურობის წარმოჩენა/შეფასებას.თვითშეფასების პროცესი ითვალისწინებს სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულს შორის მჭიდრო თანამშრომლობას, რაც უზრუნველყოფს განვითარებაზე ორიენტირებული მექანიზმების შემუშავებასა და გამოყენებას.

საკვალიფიკაციო ნაშრომის შესრულება ხდება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

- საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექსტის მოცულობა განსაზღვრულია 30-35 ათასი სიტყვით;
- გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა მოიცავს არანაკლებ 100-120 დასახელების სამეცნიერო ლიტერატურას;
- ტექსტის გაფორმებისას გამოიყენება აკადემიური სტილი APA, შრიფტის ზომა 12 .